კულინარიის ხელოვნება

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში / Basic Vocational Qualification in Cooking
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

კულინარიის ხელოვნების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანსა და სხვა კვებისა და შინა მეურნეობებში, ობიექტებში, სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები.

მიზანი:

პროგრამის მიზანია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის მოამზადოს საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სასტუმროს და რესტორნის სამზარეულოში მუშაობას კვების ჰიგიენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. განახორციელოს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადი და მექანიკური დამუშავება
2. განახორციელოს ნედლეულისა და პროდუქტის თერმული დამუშავება
3. მოამზადოს მარტივი კერძები
4. მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
5. მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
6. განსაზღვროს კერძის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობა
7. განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება
8. აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 80 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 15 სასწავლო თვე; პროგრამის დუალური სწავლების მიდგომით

განხორციელების შემთხვევაში შეადგენს ორ წელს.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

ა) სს ,,კოკა-კოლა ბოთლეს ჯორჯია“-ს ფილიალი, სასტუმრო ,,Georgia Palace Hotel” ქობულეთი, აღმაშენებლის ქ N 275;
ბ) შპს „ბლექ სი რიზორტსი“ (ს/კ 405046542)მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, შკვეთილი.
გ) შპს ,,ვესტის" ს/კ 445502037;იურ. მის: ბათუმი, დ. თავდდებულის ქ N10, ბ 11
დ) შპს ,,ტურინვესტი“ (ს/კ 245555554) (სასტუმრო ,,Hilton”) ბათუმი, რუსთაველიოს ქ. N 40;
ე) სასტუმრო და გამაჯანსაღებელი კომპლექსი ,,Castelo mare” ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი.
ვ) შპს ,,MARINA COLISEUM” ს/კ 445418067. ბათუმი, შ ხიმშიაშვილის ქ. N 16.
ზ) შპს ,,ბულვარის კარიბჭე'' (ს/კ 445407916, მისამართი: იურ: ქ.ბათუმი, კ.გამსახურდიას ქუჩა, N20, ფაქტ:ქ. ბათუმი რუსთაველის ქ.№24);
თ) შპს „ბაგრატიონი“ ს/კ 4483989304 იურ. მის: ხელვაჩაურის რ-ნო. ს. ზედა ერგე, მე-2 ქ.N6; ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ N 130;
ი) ი. მ. ზურაბ შერვაშიძე ს/კ 61001062393, ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N 36/38